

BAG

ინდუსტრი

ინვესტიციების
კვლევა



საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

ifo INSTITUTE

Leibniz Institute for Economic Research
at the University of Munich



Research


III კვარტალი 2021

BAG ინვესტიციების კვლევა

ინვესტიციების კვლევის ფარგლებში, რომელიც ტარდება წელიწადში ორჯერ, პიემსი კვლევითი ცენტრი აგროვებს მონაცემებს ინვესტიციების ტენდენციების შესახებ. აღნიშნული კვლევისთვის, გამოკითხული კომპანიები იყოფა ოთხ სექტორად (როგორც, BAG ბიზნეს კლიმატის შემთხვევაში): ვაჭრობა, მომსახურება, მრეწველობა და მშენებლობა. 2021 წლის მესამე კვარტალში ჩატარებულმა კვლევამ შეაჯამა BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერ 2020 წელს განხორციელებული ინვესტიციები და მათი გეგმები 2021 წლისთვის.

საინვესტიციო გარემო 2020 წელს

მთლიანობაში, გამოკითხული კომპანიების 35%-მა განაცხადა, რომ 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, მათ მიერ განხორციელებული ჯამური ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა. ამასთან, გამოკითხული კომპანიების 39%-მა განაცხადა, რომ აღნიშნულ პერიოდში მათ მიერ განხორციელებული ჯამური ინვესტიციების მოცულობა უცვლელი დარჩა, ხოლო დანარჩენი 26%-ისთვის შემცირდა.



გრაფიკი 1: საინვესტიციო გარემო 2020 წელს

აღსანიშნავია, რომ მრეწველობის სექტორში კომპანიების მხოლოდ 8%-მა დააფიქსირა 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, ჯამური ინვესტიციების შემცირება. ვაჭრობის, მომსახურებისა და მშენებლობის სექტორებში ჯამური ინვესტიციების კლება, შესაბამისად, 30%, 28% და 27%-მა დააფიქსირა (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ გრაფიკები 3, 4, 5 და 6).

რაც შეეხება ინვესტიციების ზრდას, მრეწველობის სექტორში კომპანიათა 46%-ის განცხადებით, 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, ჯამურმა ინვესტიციებმა იმატა. მშენებლობის სექტორში მოცემულ პერიოდში ჯამური ინვესტიციების ზრდა კომპანიათა 45%-მა დააფიქსირა, ხოლო ვაჭრობისა და მომსახურების სექტორებში - 35%-მა და 28%-მა.

მოცემულ ნაწილში განვიხილავთ, თუ სად განხორციელდა ინვესტიციები კომპანიების მიერ 2020 წლის განმავლობაში. 2020 წელს, კომპანიების უმეტესობამ გაზარდა ინვესტიციები როგორც პროგრამულ უზრუნველყოფასა და მონაცემთა ბაზებში (40%), ასევე, მანქანა-დანადგარებსა და აღჭურვილობაში (39%). ინვესტიციების ზრდა ყველაზე ნაკლებად შენობა-ნაგებობებში შეინიშნებოდა. ამ მიმართულებით ინვესტიციების ზრდა კომპანიათა მხოლოდ 27%-მა დააფიქსირა.

სექტორების მიხედვით, პროგრამულ უზრუნველყოფასა და მონაცემთა ბაზებში განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, პროცენტულად ყველაზე მნიშვნელოვანი მატება ვაჭრობის სექტორში დაფიქსირდა, სადაც კომპანიების 47%-მა გაზარდა ინვესტიციები


აღნიშნული მიმართულებით. ხოლო, მანქანა-დანადგარებსა და აღჭურვილობაში ინვესტიციების მიხედვით გამოირჩეოდა მრეწველობის სექტორი, სადაც კომპანიების 55%-ში ფიქსირდება ინვესტიციების ზრდა. რაც შეეხება შენობა-ნაგებობებში განხორციელებული ინვესტიციების ზრდას, აღსანიშნავია მრეწველობის სექტორი, სადაც კომპანიათა 36%-მა განაცხადა, რომ 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, შენობა-ნაგებობებში განხორციელებული ინვესტიციები გაზარდა.

საინვესტიციო გეგმები 2021 წელს

2021 წლის საინვესტიციო გეგმების შესაფასებლად 2021 წლის I კვარტალში ჩატარდა ინვესტიციების კვლევა, ხოლო 2021 წლის III კვარტალში მოხდა ამ პროგნოზის განახლება.

2021 წლის მესამე კვარტალში გამოკითხული კომპანიების 54%-მა განაცხადა, რომ 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, მათ მიერ ჯამურად განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა გაიზრდება. ამავდროულად, გამოკითხული კომპანიების 38% ჯამურად განხორციელებულ ინვესტიციებში ცვლილებას არ მოელოდა, ხოლო მხოლოდ 8% მოელოდა ინვესტიციების კლებას.


აღსანიშნავია, რომ 2021 წლის III კვარტალში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულ კომპანიათა 2021 წლის საინვესტიციო მოლოდინი გაუმჯობესებულია, 2021 წლის I კვარტალში არსებულ საინვესტიციო მოლოდინთან შედარებით. 2021 წლის პირველ კვარტალში ჩატარებული კვლევის მიხედვით, გამოკითხული კომპანიების 51%, 2021 წელს, ჯამურად განსახორციელებელი ინვესტიციების მოცულობის ზრდას გეგმავდა, რაც განახლებულ შეფასებას 3 პროცენტული პუნქტით ჩამოუვარდება. ამავდროულად, განახლებულ შეფასებაში 3 პროცენტული პუნქტით ნაკლებია იმ კომპანიების წილი (8%), რომლებიც ინვესტიციების შემცირებას ელის. შესაბამისად, საერთო ჯამში, 2021 წლის III კვარტალში, 2021 წლის I კვარტალთან შედარებით, გამოკითხული კომპანიათა საინვესტიციო მოლოდინი 2021 წლისთვის გაუმჯობესდა.




გრაფიკი 2: კომპანიების 2021 წლის საინვესტიციო გეგმები 2021 წლის I კვარტალსა და 2021 წლის III კვარტალში გაკეთებული პროგნოზის მიხედვით

სექტორებს შორის, ყველაზე ოპტიმისტური მოლოდინი 2021 წელს ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით ვაჭრობის სექტორში ფიქსირდება. ვაჭრობის სექტორში გამოკითხულ კომპანიათა 59% გეგმავს ჯამური ინვესტიციების ზრდას. მრეწველობისა და მომსახურების სექტორებში მსგავსი მოლოდინი გამოკითხულ კომპანიათა 54% და 52%-ს აქვს, ხოლო მშენებლობის სექტორში 45%-ს.


2021 წელს ინვესტიციების ზრდასთან დაკავშირებით, დადებითი პროგნოზები უფრო მეტად დაფიქსირდა ალტურვილობისა და პროგრამული უზრუნველყოფის/მონაცემთა ბაზების მიმართულებით, ხოლო შედარებით ნაკლებად - შენობა-ნაგებობების მიმართულებით. გამოკითხულთა 52.3% მოელის, რომ 2021 წელს მათი ინვესტიციები გაიზრდება ალტურვილობის მიმართულებით. პროგრამული უზრუნველყოფის/მონაცემთა ბაზების მიმართულებით მსგავსი მოლოდინი 52.2%-ს აქვს. ხოლო გამოკითხულთა 38.8% თვლის, რომ 2021 წელს მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციები გაიზრდება შენობა-ნაგებობების მიმართულებით.




გრაფიკი 3: საინვესტიციო გარემო 2019 და 2020 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2021 წელს ვაჭრობის სექტორში (წლიური პროცენტული ცვლილება)




გრაფიკი 4: საინვესტიციო გარემო 2019 და 2020 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2021 წელს მრეწველობის სექტორში (წლიური პროცენტული ცვლილება)



გრაფიკი 5: საინვესტიციო გარემო 2019 და 2020 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2021 წელს მომსახურების სექტორში (წლიური პროცენტული ცვლილება)



გრაფიკი 6: საინვესტიციო გარემო 2019 და 2020 წლებში და საინვესტიციო გეგმები 2021 წელს მშენებლობის სექტორში (წლიური პროცენტული ცვლილება)



კონტაქტი:

ლეონიძის ქ.2, თბილისი, საქართველო

☎ +995 32 2 202-215

✉ info@bag.ge

f Business Association of Georgia

www.bag.ge